თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2014 წლის 11 აგვისტო

ქ.თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებისა და 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1
თელავის მუნიციპალიტეტი დაიყოს 22 ადმინისტრაციულ ერთეულად.
მუხლი 2
თელავის მუნიციპალიტეტში შექმნილი ადმინისტრაციული ერთეულები თავის საზღვრებში მოიცავს ამ დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისათვის მიკუთვნებულ დასახლებებს.
მუხლი 3
3. თვითმმართველი თემი - თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:
ა) აკურის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი აკურა);

ბ) ვანთის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ვანთა);

გ) ბუშეტის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ბუშეტი);

დ) ქვემო ხოდაშენის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ქვემო ხოდაშენი);

ე) წინანდალის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი წინანდალი);

ვ) კონდოლის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი კონდოლი);

ზ) კისისხევის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი კისისხევი);

თ) ნასამხრალის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ნასამხრალი);

ი) შალაურის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი შალაური);

კ) კურდღელაურის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი კურდღელაური);

ლ) გულგულის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი გულგულა);

მ) ვარდისუბანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ვარდისუბანი);

ნ) რუისპირის ადმინისტრაციული ერთეული (სოფლები: რუისპირი, ახატელი);

ო) ყარაჯალის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ყარაჯალა);

პ) იყალთოს ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი იყალთო);

ჟ) ნაფარეულის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ნაფარეული);

რ) ლაფანყურის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ლაფანყური);

ს) სანიორის ადმინისტრაციული ერთეული (სოფლები: სანიორე, ჯუღაანი);

ტ) ართანის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ართანა);

უ) ფშაველის ადმინისტრაციული ერთეული (სოფლები: ფშაველი, ლეჩური);

ფ) ლალისყურის ადმინისტრაციული ერთეული (სოფელი ლალისყური);

ქ) თეთრიწყლების ადმინისტრაციული ერთეული (სოფლები: თეთრიწყლები, კობაძე, სეროდანი, პანტიანი, ნადიკვარი).

მუხლი 4
დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

თელავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა გიორგობიანი**